



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
2 მარტი, 2017


საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანიას (GRPC) მნიშვნელოვანი გეგმები აქვს განახლებადი ენერგიის პროექტების მიმართულებით. საქართველოს მთავრობამ გააფორმა მემორანდუმი სს „კავკასიის ქარის კომპანიასთან“ თბილისის, მარტყოფის და ტყეხულის მიმდებარე ტერიტორიებზე ქარის ელექტროსადგურების პოტენციალის შესწავლაზე. სს „კავკასიის ქარის კომპანია“ GRPC-ს მიერ ქარის პროექტების განვითარებისთვის დაფუძნებული კომპანიაა. პირველადი გათვლების მიხედვით, თითოეული სადგურის სიმძლავრე 100 მგვტ.-ს შეადგენს, ხოლო ზუსტი დადგენილი სიმძლავრე, ისევე როგორც საჭირო ინვესტიციის მოცულობა, 18-თვიანი კვლევის ეტაპის დასრულების შემდგომ იქნება ცნობილი. სს „კავკასიის ქარის კომპანია“ დამატებით 4 ქარის ელექტროსადგურის განვითარებას გეგმავს. GRPC, BGEO ჯგუფის შვილობილი კომპანია, აგრეთვე მუშაობს 10 მზის ელექტროსადგურის და რამდენიმე ჰიდრო პროექტის განვითარებაზე სხვადასხვა შვილობილი კომპანიების მეშვეობით.

დღეის მდგომარეობით, GRPC-ს პროექტების გარდა, გაფორმებულია კვლევის მემორანდუმები 822 მგვტ. ჯამური სიმძლავრის ქარის სადგურების პროექტებზე, რომელთა სავარაუდო ჯამური გენერაცია 3 ტვტ.სთ-ს შეადგენს. მომდევნო რამდენიმე წელიწადში დასრულდება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები, რომელთა შედეგადაც დაზუსტდება მშენებლობის ეტაპზე გადასული ქარის პროექტების რაოდენობა, სიმძლავრე და გამომუშავება.

ენგურის რეაბილიტაცია. ენგურჰესი საქართველოში უმსხვილესი ელექტროსადგურია, რომლის მფლობელიც სახელმწიფო კომპანია შპს „ენგურჰესი“ა. ენგურჰესის კაშხალი, რომელიც მსოფლიოში სიმაღლით მეექვსეა, შეყვანილია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის სიაში. ენგურჰესზე, 2006 წლიდან მოყოლებული, რამდენიმე სარემონტო სამუშაო ჩატარდა, კერძოდ, კაშხალსა და ელექტრო-მექანიკურ მოწყობილობებზე. რეაბილიტაციის მე-4 ეტაპი, რომელიც ძირითადად ენგურის კაშხლიდან ჰესის შენობამდე არსებული 15 კმ.-იანი გვირაბის რემონტს ითვალისწინებს, სავარაუდოდ, 2018 წელს განხორციელდება და 33 მილიონი ევროს ინვესტიცია დასჭირდება. ენგურჰესის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად გამოყენებული იქნება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სესხი, ევროკავშირის სამეზობლოს დაფინანსების პროგრამებთან (EU NIF) ერთად. პროექტის პირველი ნაწილი საკონსულტაციო კომპანიის აყვანას გულისხმობს, რომელიც დადებს სამუშაოების ზუსტ გეგმას. სატენდერო პროცედურის დაწყება 2017 წლის პირველ კვარტალში იგეგმება. კანდიდატების მიერ გვირაბის მდგომარეობის შეფასების და კომპეტენტური სატენდერო წინადადებების მიღების მიზნით, ენგურჰესმა 19 თებერვალს რამდენიმე დღით შეწყვიტა ოპერირება.


ენგურჰესი, ვარდნილ ჰესთან ერთად, რომელიც ძირითადად ენგურიდან ჩამოდინებულ წყალზე მუშაობს, ქვეყნის ელექტროენერგეტიკული მოთხოვნის დაახლოებით 35%-ს აკმაყოფილებს (22%-ს აფხაზეთის რეგიონის გამოკლებით). საშუალოდ, ენგურისა და ვარდნილის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 46%-ს მოიხმარს აფხაზეთის რეგიონი, ხოლო დანარჩენი ქვეყნის შიდა მოხმარებას ხმარდება ან ექსპორტზე გადის. ენგურის დროებითი გაჩერების პერიოდში, ყოველდღიური მოხმარების შევსება ხდება აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და რუსეთიდან (აფხაზეთის რეგიონისთვის) იმპორტირებული ელექტროენერგიით.

გრაფიკი 1: ენგურის და ვარდნილის გამომუშავება (გვტ.სთ.)



წყარო: ესკო

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება, აფხაზეთის რეგიონი (გვტ.სთ.)



წყარო: ესკო

ნინო პაპავა

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693

მარიამ ჩახვაშვილი


ანალიტიკოსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.7897



ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი


იანვარში შიდა მოხმარება წლიურად 7.2%-ით არის გაზრდილი. ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები თელასის (+10.5% წ/წ) და პირდაპირი მომხმარებლების (+17.9% წ/წ) გაზრდილი მოხმარება იყო. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მოხმარება იანვარში წლიურად 5.8%-ით არის გაზრდილი: ენერგო-პროს მომხმარებელთა მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის რაოდენობა 2.7%-ით, კახეთის ენერგოდისტრიბუციის 7.7%-ით, ხოლო თელასის აბონენტთა მოხმარება, რომელიც გასული 5 თვის მანძილზე წლიურ 20%-ზე მაღალი ტემპით იზრდებოდა, 10.5%-ით გაიზარდა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარება იანვარში წლიურად 6.9%-ით არის გაზრდილი და ენგურისა და ვარდნილის მიერ იანვარში გამომუშავებული ელექტროენერგიის 94.8% შეადგინა. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა (+17.9% წ/წ), თუმცა აღსანიშნავია 2016 წლის იანვრის საკმაოდ დაბალი ბაზა (-24.7% წ/წ). ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი უმსხვილესი პირდაპირი მომხმარებლის (ჯამური პირდაპირი მოხმარების 78.5%), ჯორჯიან მანგანუზის, მოხმარების ზრდაა (+24.9% წ/წ); აქვე აღსანიშნავია 2016 წლის იანვრის დაბალი ბაზა (-28.3% წ/წ). ჯორჯიან მანგანუზის მოხმარების ზრდამ საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი (1.7 პროცენტული პუნქტი 7.2%-იანი ჯამური ზრდის) შეიტანა ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ჯამურ ზრდაზე 2017 წლის იანვარში. ელექტროენერგიის ექსპორტი იანვარში უმნიშვნელო იყო, ხოლო აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით ტრანზიტმა 9.7 გვტ.სთ. შეადგინა.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: განაწილების ლიცენზიანტების მოხმარება (გვტ.სთ.)




წყარო: ესკო

შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება 2017 წლის იანვარში დაახლოებით თანაბრად მოხდა ერთის მხრივ ჰიდრო სადგურებით (49.7%) და მეორეს მხრივ თბოსადგურებითა (34.0%) და იმპორტირებული (15.8%) ელექტროენერგიით. ახალი ქარის ელექტროსადგურის გამომუშავებამ მთლიან ელექტროენერგიის მიწოდებაში 0.6% შეადგინა. ადგილობრივი წარმოება შემცირდა წლიურად 1.3%-ით, აქედან ჰიდროსადგურების გამომუშავება კი 10.4%-ით წ/წ. ზრდა დაფიქსირდა ენგურის და ვარდნილის (+5.6% წ/წ) წარმოებაში, თუმცა დანარჩენი რეგულირებადი სადგურების წარმოებამ მნიშვნელოვანი შემცირება (-29.3% წ/წ) განიცადა. ჰიდროსადგურების გენერაციის კლება დაკომპენსირდა თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით (+13.8% წ/წ) და იმპორტით. იმპორტი თითქმის გაორმაგდა (+92.3% წ/წ), თუმცა ეს ზრდა მოხდა გასული წლის საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-43.9% წ/წ), ხოლო 2015 წლის იანვართან შედარებით, იმპორტი გაიზარდა 7.8%-ით. იმპორტი ძირითადად ხორციელდებოდა აზერბაიჯანიდან (96.3%), ხოლო მცირე რაოდენობის (3.7%) იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან „სალხინოს“ ელექტროგადამცემი ხაზით იანვრის დასაწყისში, ძირითადად აფხაზეთის რეგიონის მოსამარაგებლად კუნძულოვან რეჟიმში. 2017 წლის იანვარში გარანტირებული სიმძლავრე ქსელს შესაბამისი სტატუსის მქონე ხუთივე წყარომ მიაწოდა თითქმის სრული თვის განმავლობაში. გარანტირებული სიმძლავრის საფასური შემცირდა 21.9%-ით წ/წ და შეადგინა 0.66 აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე. მტკვარი ენერგია (მე-9 ბლოკი) და გარდაბნის თბოსადგური მუშაობდნენ სრული სიმძლავრით მთელი თვის განმავლობაში, ხოლო მე-3 და მე-4 ბლოკები და ჯი-ფაუერი წარმოადგენდნენ სისტემისთვის ძირითადი რეზერვის წყაროს.




გრაფიკი 5: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 6: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ.




წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში


იანვარში ელექტროენერგიის საბალანსო ფასი საქართველოში წლიურად 7.5%-ით შემცირდა და კვტ.სთ-ზე 5.1 აშშ ცენტი შეადგინა, რაც 0.4%-ით მეტია თურქეთის საბაზრო ფასზე. საბაზრო ფასი თურქეთში შემცირდა 3.0%-ით 2016 წლის იანვრის დაბალი ბაზიდან (-32.5% წ/წ) და კვტ.სთ-ზე 5.0 აშშ ცენტი შეადგინა. 2017 წლის იანვარში საბალანსო ბაზარზე მთლიანი ელექტროენერგიის 27.8% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა.

გრაფიკი 7: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 8: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, საესტატი
შენიშვნა: ექსპორტი იყო უმნიშვნელო



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანაიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, ამკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარი რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მიითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, ამკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, ამკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწვევებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდლით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი
ალემ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმსიშვილი | ikumsishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge